ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N40

2022 წლის 29 დეკემბერი

ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს თანდართული ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამა.

2. განკარგულება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
ასლი დედანთან სწორია
პასუხისმგებელი პირის
ხელმოწერა
10. 01 2023.

დანართი

ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის
2023 წლის მუნიციპალური პროგრამa

მუხლი 1. პროგრამის რეგულირების სფერო, განსახორციელებელი საქმიანობა და მიზანი

1. ახალგაზრდობა არის მუნიციპალიტეტის საზოგადოების ის მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს. ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევებისა და მათი პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის აუცილებელია სათანადო პირობების შექმნა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ახალგაზრდული საქმიანობების ხელშეწყობა, აქტიური ჩართულობა და მონაწილეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

2. ახალგაზრდული პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდების გაძლიერებას, ახალგაზრდების წინაშე მდგარი არაერთი გამოწვევის მოგვარებას, რომელიც მათ ჯანმრთელობას, განათლებას, დასაქმებას, რესურსებისა და შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მონაწილეობას უკავშირდება.

3. ახალგაზრდული პროგრამის პრიორიტეტებია:

1. ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა;
2. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა;
3. ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;
4. ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებთან თანამშრომლობა;
5. გარემოს დაცვითი მხარდამჭერი ღონისძიებები.

მუხლი 2. პროგრამით მოსარგებლე პირთა წრე

პროგრამით მოსარგებლე პირთა წრეს მიეკუთვნებიან:

ა) მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვები 12 წლამდე;

ბ) მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდები 12 წლიდან 17 წლამდე;

გ) მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები 18 წლიდან 29 წლამდე;

მუხლი 3. პროგრამის მოქმედების ვადა, მისი დაწყების და დასრულების დრო

პროგრამა მოქმედებს 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. დაფინანსების პერიოდულობა

პროგრამით განსაზღვრული დაფინანსება განხორციელდება პროგრამის მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე, დაგეგმილი ღონისძიებებისა და პროექტების შესაბამისად.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 48565.0 (ორმოცდარვაათას ხუთასსამოცდახუთი) ლარს და ფინანსდება ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მუხლი 6. პროგრამის განმახორციელებელი სუბიექტი

პროგრამას ახორციელებენ :

ა) ხობის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;

გ) ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანამანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“.

მუხლი 7. პროგრამის ადმინისტრირების, მისი მართვისა და კონტროლის წესები და პირობები

1. პროგრამის ადმინისტრირებას, მის მართვასა და მონიტორინგს უზრუნველყოფს ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური და სამსახურს დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ები;

2. კონტროლის წესები და პირობები რეგულირდება:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით,

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულებით;

გ) ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ წესდებით.

მუხლი 8. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა

N	პროგრამის პრიორიტეტი	პრიორიტეტის მიზანი	ღონისძიება	შემსრულებელი	ბიუჯეტი
1	ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა;	ფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების გარდა, ახალგაზრდების საკვანძო კომპეტენციების განვითარებისა და პრაქტიკული უნარების ათვისების ხელშესაწყობისთვის, ალტერნატიული მექანიზმების შეთავაზება.	ახალგაზრდული სივრცეების შექმნა არსებული ბიბლიოთეკების ბაზაზე;	ა(ა)იპ „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“	
			არაფორმალური განათლების ხელშემწყობი პროგრამები	ა(ა)იპ „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“	
			ა)ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი		
			ბ)კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსები;		
			გ)პროფესიული განათლების ხელშეწყობა (კოლეჯ ,,ფაზისი''და კოლეჯ ,,კონსტრუქტორ-2'' -ის მიერ შემოთავაზებული	სამსახური	

			პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა).		
			ახალგაზრდული საბჭოს წევრების სხვადასხვა კომპეტენციების განვითარება. სასწავლო ტრენინგი	ა(ა)იპ „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“	
			ბიბლიოთეკარების გადამზადება ახალგაზრდულ საკითხებში.	სამსახური	
			ახალგაზრდების დაინტერესება ქვეყანაში აღიარებული ,,ახალგაზრდული მუშაკის'' სასწავლო პროგრამით.	სამსახური	
		ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში	კონცერტი კურსდამთავრებულთა თვის		9050
			ევროპის დღე		1655
			სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია		118
			დედაენის დღე		258
			მოზარდებისთვის ინტელექტუალური პროექტი ,,ეტალონი''	ა(ა)იპ „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“	3000
			ახალგაზრდებისთვის ინტელექტ-ჩემპიონატი	ა(ა)იპ „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“	1365
			ახალგაზრდა მხატვართა გამოფენა	ა(ა)იპ „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“	347
			ვორქშოპი ,,თოფუზი''	ა(ა)იპ „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“	1000

			კინო ფილმების ჩვენება	ა(ა)იპ „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“	
			ბავშვთა სპექტაკლი	ა(ა)იპ „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“	5550
			ბავშვთა საერთაშორისო დღე-თოჯინების სპექტაკლი	ა(ა)იპ „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“	1700
			პოეზიის საათი		70
			ლიტერატურული კომპოზიცია,,ახალი თაობა''		225
			,,ნორჩი პიანისტი''		270
			ლიტერატურული დღეები-ბიბლიოთეკებში		1250
			საახალწლო-საშობაო კონცერი სამუსიკო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით		290
2	გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა;	ახალგაზრდული საბჭოს შექმნა - ადმინისტრაციულ ერთეულების წარმომადგენლების მონაწილეობით. საბჭოს წევრების შერჩევა. თავმჯდომარის არჩევა, მერის ბრძანებით საბჭოს დამტკიცება.	ახალგაზრდული საბჭოს დაკომპლექტება, საბჭოს სამოქმედო გეგმის შემუშავება.	სამსახური	
			ახალგაზრდული საბჭოს გასვლითი შეხვედრების ჩატარება ადმინისტრაციულ ერთეულებში.	ახალგაზრდული საბჭო; ა(ა)იპ „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“’’	
			შეხვედრები გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, დასწრება საკრებულოს	სამსახური ახალგაზრდული საბჭო	

			სხდომებზე, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში ახალგაზრდების მონაწილეობა.		
3	ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;	ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო კურსების ჩატარება, მათი აქტიური ჩართულობა მასიურ სპორტულ ღონისძიებებში.	ჯანდაცვის მუშაკებთან შეხვედრების ჩატარება	სამსახური	
			შეხვედრები ჯანდაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა.	ასოციაცია ,,ჰერაXXI''	
			დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე	ა(ა)იპ „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“	2190
			ახალგაზრდებში ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით მათი ჩართულობა მუნიციპალურ სპორტულ ღონისძიებებში	სამსახური; ა(ა)იპ „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“	
			ახალგაზრდების მიერ ინიცირებული სპორტული ღონისძიებების ჩატარება	სამსახური	
				ა(ა)იპ „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“	
4	ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებთან თანამშრომლობა	ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფებთან/ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	1.ახალგაზრდების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების მიერ პროექტების წარმოდგენა.	საინიციატივო ჯგუფი/ ჯგუფები	
			2.გამარჯვებული პროექტის/პროექტების	სამსახური	12000

			დაფინანსება/თანადაფი ნანსება.		
			შემხვედრი ღონისძიებებისათვის (სამინისტროებიდან, რეგიონიდან, საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან შემოსული წინადადებებისა და პროექტებისათვის_)	სამსახური	3000
5	გარემოს დაცვითი მხარდამჭერი ღონისძიებები	ახალგაზრდებისთვის გარემოს დაცვითი კომპეტენციების განვითარება	გარემოში მოულოდნელად წარმოქმნილ სიტუაციებთან ეფექტური გამკლავების ხერხები-სასწავლო კურის	სსიპ,,გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი''	
			დედამიწის დღე-ვიქტორინა ,,ეკო-მეგობარი''	ა(ა)იპ „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“	1727
			,,გარემო ჩვენს ირგვლივ''-ეკოკლუბის აქტივობები	ა(ა)იპ „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“	
			ლაშქრობები	სამსახური	2500
			მოხალისეობრივი ჩართულობით გარემოს დასუფთავება	ახალგაზრდული საბჭო	
	ჯამი				48565